

სს „სითი თრაველ ბათუმი“

სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან სხვა შემოსავალი	4	1,326,276	9,667,103
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,922)	(758)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,125,122)	(8,198,271)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(118,595)	(126,259)
იჯარა		(9,205)	(10,578)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(1,994)	(452)
სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(20,851)	(7,025)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		46,587	1,323,759
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		(14,090)	(2,181)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(39,753)	9,373
საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		(6,363)	(5,745)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(13,620)	1,447
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(13,620)	1,325,206

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

სილვია ნუმანიშვილი

დირექტორი:

დიანა ბერიძე

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
ზოგადი ინფორმაცია.....	7
მომზადების საფუძველი.....	7
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
შემოსავლები	9
სხვა საოპერაციო ხარჯები	9
ძირითადი საშუალებები.....	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
მიღებული სესხები.....	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	13
პირობითი ვალდებულებები	14
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

სს „სითი თრაველ ბათუმი“

სრული შემოსავლების ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან სხვა შემოსავალი	4	1,326,276	9,667,103
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,922)	(758)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,125,122)	(8,198,271)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი		(118,595)	(126,259)
იჯარა		(9,205)	(10,578)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(1,994)	(452)
სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(20,851)	(7,025)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		46,587	1,323,759
საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი		(14,090)	(2,181)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(39,753)	9,373
საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		(6,363)	(5,745)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		(13,620)	1,447
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(13,620)	1,325,206

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: სილვია ნუმანიშვილი

დირექტორი: დიანა ბერიძე

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	43,146	9,817
		43,146	9,817
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები		27,276	1,456,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	339,854	312,291
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	15,318	2,151
		382,447	1,771,393
სულ აქტივები		425,594	1,781,210
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება		(13,619)	1,325,206
		(3,619)	1,335,206
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	-	121,403
საიჯარო ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	429,214	324,601
		429,214	446,005
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		425,594	1,781,211

სს „სითი თრაველ ბათუმი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	-	-
მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი	-	(1,325,206)	(1,325,206)
მთლიანი სრული ზარალი	10,000	1,325,206	1,335,206
2019 წლის 31 დეკემბერი	10,000	0	10,000
2020 წლის 1 იანვარი	10,000	1,325,206	1,335,206
მფლობელობაზე განაწილებული დივიდენდი	-		
მთლიანი სრული ზარალი	-	(13,620)	(13,620)
2020 წლის 31 დეკემბერი	10,000	(13,620)	(3,620)

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება	(13,620)	1,325,206
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	3,922	758
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	-	-
საექვო ვალების რეზერვების (ხარჯი)/აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურება	-	-
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი/მოგება	6,363	5,745
ფინანსური შემოსავალი	14,090	2,181
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:	10,756	1,333,890
ცვლილება მარაგებში	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(53,952)	(312,291)
ცვლილება საგადასახადო აქტივში	1,429,675	(1,456,951)
დივიდენდის გაცემა	(1,325,206)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	104,612	324,601
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული ფულადი სახსრები	165,885	(110,751)
მიღებული პროცენტები	-	-
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	165,885	(110,751)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა/გაყიდვა	(33,329)	(9,817)
სესხის გაცემა	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
გაცემული სესხების დაფარვა	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(33,329)	(9,817)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
სესხის მიღება	(121,403)	121,403
გაცემული სესხის ძირითადი თანხის დაფარვა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:	(121,403)	121,403
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	11,153	835
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,151	-
	2,013	1,316
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტზე	15,317	2,151
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლო	15,317	2,151

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სითი თრაველ ბათუმი“ დაარსდა 2019 წლის 20 მაისს საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა #1ა.

საზოგადოების ერთადერთი აქციონერია სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის ფორმირება და რეალიზება, კერძოდ: საექსკურსიო, სასტუმრო, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურება, ტურიზმში (მათ შორის საერთაშორისო ტურიზმში), ტურისტული ბიზნესის ორგანიზება, კვების და გასართობი ობიექტების მოწყობა, ინვესტიციის განხორციელება ტურისტულ ინფრასტრუქტურაში.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომ - მსს ფასს სტანდარტი) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოსი. როგორც მე-13 შენიშვნაშია განმარტებული, კორონავირუსს არ ჰქონია გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და ეფექტურობაზე, იგი გამოიმუშავებს შემოსავალს ტურისტული პროდუქციის რეალიზაციით 2020 წელს. შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურეობის ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

4. შემოსავლები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2020 წელი 31 დეკემბერი
სასტუმრო მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილი შემოსავალი (უცხოური კომპანიები)	9,605,004.40	1,315,224.81
სასტუმრო მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილი შემოსავალი (ადგილობრივი)	-	10,848.26
თვითმფრინავის ბილეთების რეალიზაციისაგან მიღებული შემოსავალი	57,327.19	180.00
თვითმფრინავის ბილეთების რეალიზაციისაგან მიღებული საკომისიო ჯამი	4,771.18	22.88
	9,667,102.77	1,326,275.95

5. სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	17,533.14	-
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	-	-
რეკლამის ხარჯი	898.31	-
საკომისიო ხარჯი	63.56	12.01
სხვა	2,356.19	7,012.91
	20,851.20	7,024.92

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარებ ი	აღჭურვილობ ა და ავეჯი	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2019 წლი 1-ლი იანვარი	-	-	-	-	-
შემოსვლა	-	-	10,575.80	-	10,575.80
მარაგებიდან გადმოტანა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	10,575.80	-	10,575.80
2020 წლი 1-ლი იანვარი	-	-	10,575.80	-	10,575.80
შემოსვლა	-	-	37,250.54	-	37,250.54
მარაგებიდან გადმოტანა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	-	47,826.34	-	47,826.34
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლი 1-ლი იანვარი	-	-	-	-	-
ცვეთა	-	-	(758.33)	-	(758.33)
გასვლა	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(758.33)	-	(758.33)
2020 წლი 1-ლი იანვარი	-	-	(758.33)	-	(758.33)
ცვეთა	-	-	(3,921.86)	-	(3,921.86)
გასვლა	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	-	(4,680.19)	-	(4,680.19)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	9,817.47	-	9,817.47
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	43,146.15	-	43,146.15

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	13,337.60	302,290.99
სხვა მოთხოვნები	37,930.51	10,000.00
	51,268.11	312,290.99
არაფინანსური ვალდებულებები		
გადახდილი ავანსები	288,585.72	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	339,853.83	312,290.99

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე (ლარში)	15,317.52	2,150.99
	15,317.52	2,150.99

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

9. მიღებული სესხები

	სს მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი	სს მეტრო აგრასია ინვესტმენტ ჯორჯია
2019 წლის 1 იანვრისათვის	-	-
სესხის მიღება	119,222.00	-
საპროცენტო ხარჯი	2,181.41	-
სესხის გასვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბრისათვის	121,403.41	-
სესხის მიღება	105,880.00	241,373.83
საპროცენტო ხარჯი	13,582.29	-
სესხის გასვლა	(240,865.70)	(241,373.83)
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	-

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	142,603.53	309,771.30
სახელფასო ვალდებულებები	-	14,830.00
	142,603.53	324,601.30
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	286,610.00	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	429,213.53	324,601.30

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31 დეკემბერი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,397.12	191,995.24
მიღებული სესხები	-	121,403.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	141,122.93	311,505.49
მარაგების შეძენა	252.72	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	19,222.44	10,575.80
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	-	4,282.66
იჯარა	9,205.18	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	19,730.04	18,024.84

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

12. პირობითი ვალდებულებები დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდში.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთის გავრცელებული ახალი კორონა ვირუსი (COVID-19) 2020 წლისათვის წარმოადგენდა არამაკონტროლებელ მოვლენას, მაგრამ კოვიდ საწინააღმდეგო არაერთი ვაქცინის გამოშვებამ 2021 წლისათვის ის გახდა ნაკლებად სახიფათო. 2021 წელს ეკონომიკამ დაიწყო აღდგენა და 2022 წლის ბოლოსათვის ვარაუდობენ რომ სრულიად აღდგება. ეტაპობრივად მოიხსნა შეზღუდვები, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის აღდგენას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთელს მსოფლიოში.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირველადი ღირებულების მეთოდებით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტილი ტრანზაქციების ხარჯით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსაურეობის

ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარისგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სასარგებლო მომსახურეობის ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულების და მიღებული თანის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც წარმოიქმნება.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისაგან. რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წელს პირველი ინავრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარაის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელსაც ისინი გაიწია.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. სააქციო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სს „სითი თრაველ ბათუმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებით მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.